საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №20

ქ. ბათუმი 20 თებერვალი, 2018 წ.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 0 18 007905, 19.02.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების:

ა) ყველა მუხლში, სადაც წერია „მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახური“ დაიწეროს „სამეცნიერო კვლევების სამსახური“ (მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ პუნქტში, მე-13 მუხლის პირველ პუნქტში, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში და მე-8 დანართის პირველ პუნქტში);

ბ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ბ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;“;

გ) მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ–ს პროფესორი, ასევე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი (მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაღალრეიტინგული რეფერირებადი/რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალებიდან, მათ შორის მინიმუმ ერთი - მაღალ რეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში).

2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

პროფესორი, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ასევე, შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი (ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტი თავისუფლდება დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) საერთაშორისო რეცენზირების ვალდებულებისაგან).

3. სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის, ასევე, ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის ან სხვა დაწესებულებიდან მისი მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ბსუ-ს რექტორი, დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა (გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, დამატებით ხელმძღვანელის დანიშვნა დასაშვებია სხვა ვადებშიც).

დ) მე-13 მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ა[1] ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა[1]. ნაშრომის თავფურცლის შემდეგ უნდა განთავსდეს ავტორის განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“ (განაცხადის ტექსტის ქვემოთ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი).“;

ე) მე-8 დანართის (საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. თუ ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ნაშრომი ეგზავნება სხვა ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად, არაუმეტეს ორი თვისა.“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და აისახოს სტუდენტის გზამკვლევში.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.

4. დადგენილება, გარდა მე-4 და მე-5 მუხლებში შეტანილი ცვლილებებისა, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, ხოლო მე-4 და მე-5 მუხლებში შეტანილი ცვლილებები გავრცელდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**